სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 მაისი, 2025 წ.

ბრძანება № 01-02/101

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თენგიზ ვადაჭკორიას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/18 დადგენილების, „2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის წლის 21 სექტემბრის №01-08/420 ბრძანების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თენგის ვადაჭკორიას სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 4 თებერვლის №01-02/17 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (21.05.2025, ოქმი №27–20/04) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 21 მაისის №557526 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თენგიზ ვადაჭკორიას სადისერტაციო ნაშრომის: **„აჭარის აგროცენოზების თავისუფლად მცხოვრები და ფიტოპარაზიტული ნემატოდების ბიოეკოლოგიური მონიტორინგი“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2025 წლის 14 ივნისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის /რუსთაველის №35/32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

2.1. **ქეთევან დოლიძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

2.2. **ნანა ზარნაძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

2.3. **მარინა ქორიძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის წევრი.

2.4. **ნაზი თურმანიძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.5. **მადონა ვარშანიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის წყლის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსი -კომისიის წევრი;

2.6. **მადონა კუჭავა** - ბიოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი - კომისიის წევრი;

2.7. **მარინა მგელაძე** - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

2.8. **პაატა ვადაჭკორია** - ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის წყლის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

2.9. **რამაზი მიქელაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მეთევზეობის და აკვაკულტურის სამმართველოს უფროსი - კომისიის წევრი;

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-სრექტორის მოადგილეს პროფესორ მერაბ ხალვაშს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს,

საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს პროფესორ მარინა ნაგერვაძეს და სადისერტაციო საბჭოს მდივანს ასოცრებულ პროფესორ ეთერ ჯაყელს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**